

Hayate Sotome

ჰაიატე სოტომე

The University of Tsukuba

ცუკუბას უნივერსიტეტი

Japan, Tsukuba

იაპონია, ცუკუბა

Representation of Hero/Anti-Hero and Literary Topoi in A. Qazbegi's "The Patricide"

გმირის/ანტიგმირის სახე და ლიტერატურული ტოპოსი ა. ყაზბეგის „მამის მკვლელობა“

From the beginning of the 19th century, the Russian Empire colonized Georgia. The situation was especially difficult in the Khevi region, where the adventure of Georgian protagonists, Iago, Nunu and Koba, in Aleksandre Qazbegi's novel "The Patricide," took place. These protagonists are victims of this colonization.

After Iago and Koba rescued Nunu, who was forcibly married and then confined in a cave, they fled to Chechnya, joined to Shamil's army, and fought against the Russian troops. As mentioned in the text, the Russian army consists not only of Russians and Cossacks, but also of other Caucasians, including Georgians. In the novel, two types of Georgians are represented: the "heroes," – Iago, Nunu and Koba, – who have conscience, and the "anti-hero," – Girgola, – who lacks it and serves Russian imperialism. Although main plot develops around the adventure of the "heroes," drawing readers' attention to them, Girgola's psychology is also described in detail and is equally noteworthy. From this point, "The Patricide" possesses two characteristics of both chivalric and picaresque novels.

Additionally, the places where the "heroes" and the "anti-hero" operate are also notable. The former flee from Khevi to Chechnya, where the battles between Russian troops and Shamil's army occur. In Chechnya, particularly in the Ichkerian forest, there are no highways (referred to in the novel as "national roads"). This circumstance makes it impossible for the Russian troops to move and battle effectively, giving Shamil's army an advantage. In contrast, the "anti-hero," Girgola remains in Khevi or Vladikavkaz (Dzaug), where there is a highway connecting the cities. The Russian Empire controls the territory through this highway. These two topoi – the cities and the villages, and the highway itself / the roadless, "nomadic" space – are crucial for understanding A. Qazbegi's works.

Keywords: Alexander Kazbegi, Father's Murderer, Chronotope, Paul Virilio

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრე ყაზბეგი, მამის მკვლელობა, ქრონოტოპი, პოლ ვირილიო

1. შესავალი

ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ნამწყენსარის მოგონებანი“ მოთხრობილია მწყემსური ცხოვრების სირთულეები შესახებ. ამ სირთულეებს შორის ყურადღება მინდა გავამახვილოთ შემდეგზე:

[...] ვერ მოვასწართ ჩასვლა სოფ. ბალთას, სადაც ზასტავაში შეგვაყენეს და გზის ხარჯის თხოვნა დაგვიჩყეს.

ჩვენ ეს ხარჯი უსამართლოდ გვეჩვენა, რადგანაც გზა-გზა არ გვივლია და სულ მინდორზედ ძოვნიტ მოგვიდიოდა ცხვარი, მაგრამ ჩვენს საბუთიანს ლაპარაკს ყურადღებას არავინ აქცევდა და გასასვლელს გზას არ გვანებებდნენ (ყაზბეგი, 1948, გვ. 460).

აქ საინტერესოა, რომ ყაზახები სამოვრებზე გადაადილების საფასურს ითხოვენ ზასტავაში, ხოლო მწყემსები, როგორც მოთხრობელი ამბობს, ამას „გზის ხარჯად“ თვლიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყაზახები ზასტავაში, ანუ საკონტროლო პუნქტში, მოსულ მწყემსებს ფულს სთხოვენ და მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, გზებით დადიოდა ის თუ მინდვრებზე. მწყემსები ფიქრობენ, რომ უშუალოდ გზაზე სიარულსა და გზის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ეპიზოდი გულისხმობს იმას, რომ ყაზახებსა და, ზოგადად, რუსეთის იმპერიის კოლონიალისტურ მმართვეობას, მწყემსებისა და ადგილობრივი მთის ხალხისგან განსხვავებული ხედვა და დამოკიდებულება აქვთ. კერძოდ, რუსული მმართველობა თვლის, რომ არა მარტო გზას, არამედ მის ირგვლივ არსებულ ტერიტორიებსაც უნდა აკონტროლებდეს. ადგილობრივებისთვის კი ასე არ არის და გზის იქითა ტერიტორია მმართველობის რუსების კონტროლის გარეშე რჩება. მოხსენებაში მინდა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორაა ამგვარი „გზა“ ასახული ა. ყაზბეგის რომან „მამის მკვლელობა“.

2. გზა და ტყე

როგორც ცნობილია, დარიალის ხეობაში, რომელიც ა. ყაზბეგის ნაწარმოების სცენაა, ფიგურირებს ე. წ. საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც აშენდა მე-19 საუკუნის დასაწყისში, როცა რუსეთის იმპერიამ კავკასიაში შემოაღწია, და იგი იმთავითვე იმპერიის ცენტრისა და, ასე ვთქვათ, პერიფერიის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურულ ობიექტად იქცა. ამას ჩვენ ვკითხულობთ რომანშიც: *რუსეთი გაიზარდა, გაიწია განზედ, ის ველარ მოთავსდა თავის კალაპოტში და ამიერურებოდა სამხრეთისაკენ და, რაც კი გზაზედ ჰხვდებოდა, უნდოდა დაემორჩილებინა, დაეპყრო. ჩეჩნელები გზაში ეჩხირებოდნენ ამ მდინარეებს, და ეს იყო პირველი მიზეზი შეტაკებისა* (ყაზბეგი, 1948, გვ. 308).

ამგვარად, რუსეთის იმპერია საქართველოსა და კავკასიას გზის მეშვეობით მმართვედა, მას ეფექტური მართვისთვის აშენებდა და ინარჩუნებდა.

გზა ქალაქებს, სოფლებს, ზასტავებს, სტანციებს და კიდევ ანაზურის ციხესაც ერთმანეთს უკავშირებს და მთელი ის სივრცე, რომელსაც ის აკავშირებს რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ ექცევა. რუსული ჯარი, მისი ყარაული ყაზახები და რომანის ანტიგმირი გრიგოლა სწორედ ამ გზის სივრცეში, ანუ გზის ტოპოსში მოქმედებენ. რომანში, მაგალითად, ვკითხულობთ: „გზები სავსეა ყარაულებით“ (ყაზბეგი, 1948, გვ. 291) ან „ყაზახი მოდიოდა გზების საჩხრეკად და მშვიდობიანობის დასაცველად“ (ყაზბეგი, 1948, გვ. 354). გზა და მასში არსებული პუნქტები, როგორც სოფელი, ზასტავა და ა. შ. – ეს „ხაზისა და წერტილის“ სქემა – სწორედ იმდროინდელი რუსული მმართველობის ფორმა იყო.

ამ გზის ტოპოსის საპირისპიროა ტყის ტოპოსი, რომელსაც რომანის გმირები, კობა, იაგო და ნუნუ, გრიგოლასგან თავის დასაცავად მიმართავენ. მაგალითისთვის ავიღოთ ის მომენტი, როცა ნუნუ გამოქვაბულიდან გაქცევის შემდეგ შედის ტყეში და მას კინაღამ თავს დაესხა დათვია. მას

იაგო და კობა დაეხმარნენ. თუმცა რატომ იყვნენ ისინი ტყეში, ეს შემდეგნაირადაა ახსნილი: *იაგოს ასე სწრაფად და დროზედ გაჩენის მიზეზი დათვის ტყეში იყო ის, რომ ეს რამდენი ხანია, რაც ამან და კობამ აქ შეიფარეს თავი, როგორც ერთს საუკეთესოდ დასამალს ადგილს* (ყაზბეგი, 1948, გვ. 263).

გრიგოლას მიერ ნუნუს დაჭრის შემდეგ იაგო და კობა ჩეჩნეთში მიდიან, სადაც შამილის ჯარს უერთდებიან და მათთან ერთად რუსულ ჯარს ებრძვიან. ის ადგილი, სადაც შამილის ჯარი დგას, არის იჩქერიის ტყე. სწორედ ტყეში შეუძლიათ მათ რუსებთან საბრძოლო უპირატესობა ჰქონდეთ.

შამილს უნდოდა ვარანცოვი თავისის ჯარით იჩქერის ტყეში შეეტყუებინა, სწორედ იმ ტყეში, სადაც ისე დაამარცხა ამ რამდენიმე წლის წინათ ლენერალი გრაბე, და რუსები კი ემზადებოდნენ რომ ეს ტყე გაეგლოთ თავიდან ბოლომდინ და თავის იარაღისთვის დაემორჩილებინათ (ყაზბეგი, 1948, გვ. 303).

ამგვარად, გზის ტოპოსის საპირისპიროდ (გზის, რომელსაც და რომლის საშუალებითაც რუსული იმპერია ე. წ. პერიფერიებს მართავს) რომანში წარმოდგენილია ტყის ტოპოსი, რომელსაც შამილი მართავს.

3. სიჩქარე და სივრცე

მოხსენებაში გზისა და ტყის ტოპოსს მინდა დავუკავშიროთ ქრონოტოპის კონცეფცია. მ. ბახტინის თეორიის მიხედვით, რომანში ტოპოსი განუყოფელადაა მიჯაჭვული დროსთან (Бахтин, 1975, გვ. 392). თუმცა, ფრანგი თეორიტიკოსი, პოლ ვირილიოს, წიგნში „სიჩქარე და პოლიტიკა“ წერს, რომ სახელმწიფო სტრუქტურა და პოლიტიკური ძალაუფლება სიჩქარესა და აჩქარებასთან მუდმივადაა დაკავშირებული. დროთა განმავლობაში სახელმწიფო ან გზას აკეთებს და კავალერიას ამზადებს, ან რკინიგზას აკეთებს, ან თვითმფრინავს ააფრენს, რომლითაც უფრო შორი და ფართო ტერიტორიების მართვა შეუძლია. თანდათ სიჩქარე უფრო და უფრო ემატება. ამ სიჩქარის დრამატული გამოვლინებაა, ვირილიოს მიხედვით, ომში შეჯახება; არტილერიის „ჭურვის აფეთქების ელვისებური სიჩქარე“ და თანამედროვე პერიოდში ეს ბირთვული იარაღის აფეთქებითაა განხორციელებული.

ვირილიოს ამ ქრონოტოპის კონცეფციის გათვალისწინებით, განვიხილოთ გზისა და ტყის ტოპოსები „მამის მკვლელობაში.“ როგორც უკვე აღვნიშნეთ, გზა რუსულ მმართველობას ხელს უწყობდა. გზა არის ის ტოპოსი, სადაც ყაზახები ცხენებით დადიან. მამასადამე, აქ დრო ცხენის სირბილის სიჩქარეს უკავშირდება. მაგალითად, რომანის იმ ადგილას, სადაც იაგო გზის პირას იმალება და სიტუაციას ეცნობა, ჩვენ ვკითხულობთ, რომ გზაზე ყაზახები ცხენებით დადიან:

ცხენების ხმა თანდათან ახლოვდებოდა; ბოლოს ხალხის ლაპარაკიც მოისმა: აღმოჩნდა, რომ ათიოდე, თუ ცოტა მეტი, ყაზახი მოდიოდა გზების საჩხრეკად და მშვიდობიანობის დასაცველად (ყაზბეგი, 1948, გვ. 354).

ტყე კი ამგვარ სიჩქარეს ანელებს; უღრან ტყეში გაზრდილი ხშირი მცენარეები ანელებს იმ სიჩქარეს, რომლითაც გზაზე ცხენი მიდის:

მართლაც, გაბმული უდაბნო ტყეები, გახლართული სვით და სხვა ხვეულის მცენარეებით, განუწყვეტლივ აყენებდნენ ცხენოსნებს, აძებნიდებდნენ უკეთესს გზას, მაშინ, როდესაც ქვეითები კი შიგა ძვრებოდნენ და გზაში არა ბრკოლდებოდნენ (ყაზბეგი, 1948, გვ. 324).

სწორედ ამიტომაც, ტყეში რუსულ ჯარს არ აქვს და ვერ მოიპოვებს უპირატესობას, რომელსაც გზაზე განხორციელებული სიჩქარე ანიჭებს.

ზემოხსენებული მაგალითი ცხენებთანაა დაკავშირებული, ხოლო ყველაზე ტიპური მაგალითი ჩნდება ჩერქეზსა და რუს სალდათს შორის მიმდინარე შემდეგ დიალოგში:

- აი, ჩვენი გზა ეს არის, – უთხრა იმან, – სულ ტყიანია, მარტო აი, აქ შეგხვდება მინდორი, მერმე ისევ ტყე დაიწყება... გზის ნაპირს სულ ხევი მისდევს.
- გზაში ისეთი მაღლობი არსად არის, რომ ზარბაზნები გაგვემაგრებინა და იქიდან ყუმბარები გზას მისწდომოდა?.. მაშინ ჯარი დაფარული იქნებოდა მტრისგან.
- გარშემო სულ მაღლობებია და მთები, მაგრამ ტყის სიხშირით იქ ზარბაზნებს ვერ გავიტანთ; ქვევითა კაცსაც კი გაუჭირდება იქ გასვლა, არამც თუ ცხენების გაყვანა და ზარბაზნების გატანა შეიძლებოდა (ყაზბეგი, 1948, გვ. 338).

როგორც აღწერილია, გზა, რომელზეც რუსული ჯარი დადის, ტყითაა გარშემორტყმული. ამ ტყის გამო ზარბაზნის გამოყენებაც და ცხენზე ჯდომაც ძალიან რთულია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვირილიო სიჩქარის პოლიტიკის ყველაზე ნათელ მაგალითად ზარბაზანს ასახელებს. ტყეში სწორედ ზარბაზნის სიჩქარეა განულებული.

სხვა მხრივ, კიდევ საინტერესოა ჩვენთვის, რომ ასეთი ტყის სიხშირე შამილს ხელს არ უშლის:

ცოტა ხანმა გაიარა, და ჯერ ტყის შტოებს შუა აქა-იქ გაელდა მომავალთ იარაღი და ცხენთა მორთულობა, და ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მშვენიერი შეხედულობის მოცუბი, თეთრის წვერით და თეთრისვე ჩაღმით თავზედ. თეთრს გასუქებულს ცხენებს, რომელიც გედივით მოცურავდა, მაღლა და ამაყად თავი აეღო, თითქოს გრძნობდა თუ რა მხედარი მოჰყვანდა (ყაზბეგი, 1948, გვ. 327).

შამილის თეთრი გასუქებული ცხენი „ტყის შტოებს შუაში“ „გედსავით მოცურავდა,“ რაც ზემოხსენებული რუსული ჯარისგან განსხვავებულია. ამდენად, აქ ტყის ქრონოტოპი რუსული იმპერიალისტური ძალების დროსა და სიჩქარეს, რომელიც მათი მმართველობის საფუძველია, ანელებს. შამილისთვის ეს ასე ხდება.

4. დასკვნა

„მამის მკვლელში“ გზა არის ის ტოპოსი, რომელსაც რუსეთის იმპერია მართავს, და სადაც რომანის ანტიგმირი გრიგოლა მოღვაწეობს, ხოლო ტყე ისეთი ტოპოსია, სადაც რომანის გმირები კობა, იაგო, შამილი და, საერთოდ, მთის ხალხი ტრიალებს. გზის ქრონოტოპი ცხენის სიჩქარეს უკავშირდება და ომის დროს კი – ზარბაზნის ჭურვის სიჩქარეს. მეორე მხრივ, ტყის ქრონოტოპი ცხენისა და ჭურვის სიჩქარეს ანელებს და ამიტომაც ტყეში მთის ხალხს რუსულ ჯარზე უპირატესობა აქვს. ამგვარად, „მამილს მკვლელში“ გზისა და ტყის ქრონოტოპები მე-19 საუკუნის ქართული და არაქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან მახასიათებლებად გვევლინება.

დამოწმებანი

- ყაზბეგი, ალ. (1948). *თხზულებათა სრული კრებული*, ტ. 1, თბილისი: საბჭოთა მწერალი.
 Virilio 1986: Virilio, Paul. *Speed and Politics: An Essay on Dromology*. Trans. Mark Polizotti, NY: Semiotext(e).
 Бахтин, М.М. (1975) *Бахтин*, Вопросы литературы и эстетики: исследования разных лет. М.

References:

- Bakhtin, M.M. (1975). Bakhtin, Voprosy literatury i estetiki: issledovaniya raznykh let. [Questions of Literature and Esthetics: Research from Different Years]. M.
 Q'azbegi, Sl. (1948). Tkhzulebata sruli k'rebuli. T'. 1. [Complete Collection of Works, Vol. 1]. Tbilisi: "sabch'ota mts'erali".
 Virilio 1986: Virilio, Paul. *Speed and Politics: An Essay on Dromology*. Trans. Mark Polizotti, NY: Semiotext(e).